√

ურთიერთგაგების მემორანდუმი
ბელარუსის რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ

ბელარუსის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შემდგომში „მხარეებად" წოდებულნი,

ხელმძღვანელობენ რა მეგობრული და ისტორიული ურთიერთობების გამყარებისა და განვითარების სურვილით, რომელიც ორ მეგობრულ ქვეყანას და მათ ხალხებს აკავშირებთ საერთო ინტერესის სფეროში შემავალ საკითხებზე,

ითვალისწინებენ რა თანამშრომლობის მნიშვნელობას ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო მეცნიერების სფეროში,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

მხარეები თანამშრომლობენ ჯანმრთელობის დაცვის, სამედიცინო კადრების მომზადებისა და სამედიცინო მეცნიერების სფეროში.

მუხლი 2

მხარეები გაცვლიან ინფორმაციას ჯანდაცვის სფეროში, მათ შორის - ინფორმაციას კონფერენციების, სიმპოზიუმებისა და გამოფენების შესახებ.

მუხლი 3

მხარეები ახორციელებენ ჯანმრთელობის დაცვის სფეროს ექსპერტთა და სპეციალისტთა გაცვლას მხარეთა შესაძლებლობებისა და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 4

მხარეები ხელს უწყობენ პირდაპირი თანამშრომლობის განვითარებას მხარეების სპეციალიზირებულ დაწესებულებებს შორის.

მხარეები თანამშრომლობენ მკურნალობისა და სამედიცინო რეაბილიტაციის სფეროში, რაც ასევე მოიცავს საქართველოს პაციენტების მკურნალობას ბელარუსის რესპუბლიკის სამედიცინო ცენტრებში მიღწეული შეთანხმებების თანახმად.

მუხლი 5

მხარეები ხელს უწყობენ სამედიცინო დარგის სპეციალისტების მომზადებას, გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას მიღწეული შეთანხმებების თანახმად.

მუხლი 6

მხარეები ხელს უწყობენ სამეცნიერო კვლევების ჩატარებას ექსპერიმენტული, კლინიკური და პროფილაქტიკური მედიცინის სფეროში.

მუხლი 7

მხარეები თანამშრომლობენ სამკურნალწამლო საშუალებების, სამედიცინო ტექნიკისა და სამედიცინო მოხმარების საგნების შესყიდვის საქმეში, იმის გათვალიწინებით, რომ შესყიდვა განხორციელდება ორივე ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად.

მუხლი 8

წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმი ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან.

ცვლილებები და დამატებები აღნიშნულ მემორანდუმში განხორციელდება ორივე მხარის თანხმობით.

შესრულებულია "17" ივნისს ქ. ქუთაისი ორ ორიგინალურ პირად, თითოეული ქართულ და რუსულ ენებზე, ამასთანავე, ყველა ტექსტს თანაბარი ძალა გააჩნია. შეთანხმებათა ტექსტების განსხვავებული ინტერპრეტაციის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ტექსტს რუსულ ენაზე.

ბელარუსის რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სახელით	საქართველოს შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელით